ევროკავშირი და ევროპის საბჭო პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის 2019-2021

#strongertogether

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

□□□□□□□□□□□□ □□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□□□

აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მოქალაქეების ნდობის გასაზრდელად, ინვესტიციებისათვის უსაფრთხო კლიმატის შესაქმნელად და გრძელვადიანი რეგიონული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სასამართლო რეფორმების განხორციელება და კორუფციასთან ბრძოლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე და საერთო ღირებულებებზე დაყრდნობით, ევროკავშირი და ევროპის საბჭო ერთობლივად თანამშრომლობენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან და მხარს უჭერენ მათ მიერ 2020 წლისთვის 20 შედეგის მიღწევას და ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული ხორციელდება პროგრამის "პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" (PGG) საშუალებით, რომელიც 2014 წელს ერთობლივი ინიციატივის სახით დაიწყო. PGG აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს მათ კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერით უზრუნველყოფს, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფერებში კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან დასაახლოვებლად.

2017 წლიდან პროგრამა ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი ექსპერტიზისა და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, რათა შიდასახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს დაეხმაროს სასამართლო სფეროში რეფორმების განხორციელებაში და კორუფციასთან ბრძოლაში, ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად. პროგრამა 2021 წლამდე გაგრძელდება.

პროგრამის ფარგლებში გარკვეული პროგრესი განხორციელდა დამოუკიდებელი ანტი-კორუფციული ორგანიებისა და სასამართლო რეფორმების კუთხით. ამჟამად მიმდინარე საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოქალაქეებისათვის უფრო ეფექტური და უკეთესი ხარისხის სერვისების უზრუნველყოფასა და მიღწეული შედეგების შენარჩუნებას.

პროგრამის მეთოდები ითვალისწინებს სამართლებრივ ექსპერტიზას, შესაძლებლობების განვითარებას, ცნობიერების ამაღლებასა და შეფასებას (peer-to-peer review), მათ შორის, საჭიროებების შეფასებას, საკანონმდებლო მიმოხილვას, კონფერენციებს/სემინარებს, კონტაქტების დამყარებასა და ტრენინგს, რომელსაც უძღვებიან ევროპის საბჭოს თანამშრომლები და საერთაშორისო ექსპერტები. პროგრამა იყენებს მრავალგანზომილებიან მიდგომას, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობასა და სექტორთშორის თანამშრომლობას. პროგრამის ძირითად ძლიერ მხარეს წარმოადგენს გახსნილობისა და მოქნილობის მაღალი დონე, რასაც დაინტერესებული მხარეები და ბენეფიციარები ადასტურებენ. პროგრამის მიზანია უაღრესად რელევანტური, ეფექტური და მდგრადი დახმარების უზრუნველყოფა, რაც დადასტურდა ბოლოდროინდელი შეფასებებით.

HELP
CERTIFICATE
Certificate

REGIONAL STUDY
ON WOMEN'S POLITICAL
REPRESENTATION
IN THE EASTERN
PARTNERSHIP COUNTRIES

SCARA CASCADELOR
BISERICA "SF. PANTELIMON"

2020 წლისთვის მისაღწევი შედეგი 9: კანონის უზენაესობისა და ანტი-კორუფციული მექანიზმების განმტკიცება

□□□□□□□□□□:

- აზერბაიჯანში, მოლდოვის რესპუბლიკაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში ისეთი კანონების მიღება, რომელიც განამტკიცებს შესაბამის ნორმებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ფულის გათეთრებისა და ტერორისტული დაფინანსების სფეროებში
- ქონების დეკლარაციისა და ინტერესთა კონფლიქტის სისტემების ეფექტურობის გაუმჯობესება საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში
- ბენეფიციალური მფლობელობის გამჭვირვალობის, როგორც უკანონო ფინანსური სახსრების მოძრაობის, ფულის გათეთრების, კორუფციისა და ფინანსური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი წამყვანი ინსტრუმენტის გამჭვირვალობის გაუმჯობესება
- სამართალდამცავი უწყებების შესაძლებლობების გაუმჯობესება კორუფციის საქმეების გამოძიების კუთხით
- გადაწყვეტილების მიმღებებისა და პრაქტიკოსების ცოდნის გაუმჯობესება უკანონო გამდიდრებასთან ბრძოლის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ
- ბელარუსსა და საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და შემსუბუქების მექანიზმების გაუმჯობესება
- აზერბაიჯანსა და საქართველოში სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე 400 აქტორის შესაძლებლობების გაუმჯობესება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიების, სამართლებრივი დევნისა და განსჯის კუთხით

□□ □□□□ □□□□□□□□□:

- ინსტიტუციონალური ჩარჩოს კიდევ უფრო განმტკიცება, GRECO-ს რეკომენდაციების შესაბამისად კორუფციასთან ბრძოლის მიზნით
- ქონების დეკლარაციისა და ინტერესთა კონფლიქტის სისტემების კიდევ უფრო გაუმჯობესება
- კრუფციული დანაშაულის გამოძიების, სამართლებრივი დევნისა და განსჯის გაუმჯობესება
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ფინანსური სტრუქტურების შესაძლებლობების კიდევ უფრო განმტკიცება
- კორუფციასთან, ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლისა და პრევენციის რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმების კიდევ უფრო განმტკიცება

ევროპის საბჭოს სტანდარტები და მონიტორინგი

კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) ახდენს ეროვნულ ანტი-კორუფციულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ხარვეზების იდენტიფიცირებას და სახელმწიფოების მიერ საჭირო საკანონმდებლო, ინსტიტუციონალური ან ადმინისტრაციული რეფორმების განხორციელებას უწყობს ხელს. მისი შეფასებები ეფუძნება ევროპის საბჭოს რელევანტურ კონვენციებს.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL) წევრ სახელმწიფოებში ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სისტემების ეფექტურობას აფასებს.

2020 წლისთვის მისაღწევი შედეგი 10 : ძირითადი სასამართლო რეფორმების განხორციელების მხარდაჭერა

□□□□□□□□□□:

- სომხეთში სასამართლო ანგარიშვალდებულების განმტკიცება და შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად
- აზერბაიჯანსა და მოლდოვის რესპუბლიკაში სასამართლოს ყოველდღიური ადმინისტრირების ეფექტურობის ამაღლება, მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად
- აზერბაიჯანსა და მოლდოვის რესპუბლიკაში სასამართლო მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესება საპილოტე სასამართლოებში, სერვისების ეფექტურობისა და ხარისხის ასამაღლებლად
- ეროვნული სასამართლოების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების გაუმჯობესება
- აზერბაიჯანის, მოლდოვის რესპიბლიკის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის სამოსამართლო სწავლების ინსტიტუტების შესაძლებლობების განმტკიცება, სამოსამართლო კომპეტენციებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად
- ეთიკური და დისციპლინური პროცედურების გაუმჯობესება საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკაში: საქართველოში ადვოკატების 63%, ხოლო მოლდოვის რესპუბლიკაში ადვოკატების 56% მიიჩნევს, რომ დისციპლინური პროცედურები უფრო სამართლიანი და ეფექტურია
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მართლმსაჯულების სექტორის წარმომადგენელთა 70%-ს შორის ევროპული სტანდარტების შესახებ ცოდნის გაუმჯობესება
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის სტრუქტურების, პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება

□□ □□□□ □□□□□□□□□:

- საკანონმდებლო ჩარჩოსა და სასამართლო რეფორმის განმახორციელებელი მექანიზმების კიდევ უფრო განმტკიცება და მიზანმიმართული სამართლებრივი რეფორმების იმპლემენტაციის მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში
- ევროპული სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის საფუძველზე, სასამართლო ანგარიშვალდებულების ეფექტური სისტემის კიდევ უფრო განმტკიცება; მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, განსაკუთრებით ქალებისათვის
- CEPEJ-ის ინსტრუმენტების განხორციელების კიდევ უფრო განმტკიცება, მართლმსაჯულების ეფექტურობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად
- ტრენინგებისა და სამოსამართლო სწავლების ინსტიტუტების მიერ ტრენინგების ჩატარების შესაძლებლობების კიდევ უფრო განმტკიცება, ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) გადაწყვეტილებების აღსრულების კიდევ უფრო გაუმჯობესება
- ადვოკატთა ასოციაციებსა და სამართლის საზოგადოებებს შორის რეგიონული თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცება

ევროპის საბჭოს სტანდარტები და მონიტორინგი

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) საქმიანობა ფოკუსირებას ახდენს მართვის ინსტრუმენტების, საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაზე, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტურობის გასაზრდელად. იგი რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს ევროპული სასამართლო სისტემების შეფასების შესახებ.

ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭო (CCPE) ამზადებს მოსაზრებებს, მხარს უჭერს სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორის როლის შესახებ რეკომენდაციის Rec(2000)19 განხორციელებას და აგროვებს ინფორმაციას ევროპაში პროკურატურის ფუნქციონირების შესახებ.

ევროპელი მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭო (CCJE) ამზადებს მოსაზრებებს და ხელს უწყობს ევროპის საბჭოს სტანდარტების იმპლემენტაციას, ევროპაში მოსამართლეების როლის განსამტკიცებლად.

[illegible] ([illegible])

ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად წარმოადგენს ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოს საკონსტიტუციო საკითხებზე. მისი როლი მდგომარეობს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის სამართლებრივი კონსულტაციის უზრუნველყოფაში. კერძოდ, კომისია ეხმარება სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ თავიანთი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სტრუქტურების ევროპულ სტანდარტებთან და საერთაშორისო გამოცდილებასთან შესაბამისობაში მოყვანა, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის სფეროში.

ვენეციის კომისია, ასევე, უზრუნელყოფს საერთო კონსტიტუციური მემკვიდრეობის გავრცელებასა და კონსოლიდაციას, უნიკალურ როლს თამაშობს კონფლიქტის მართვაში და ტრანზიციაში მყოფ სახელმწიფოებს აწვდის «გადაუდებელ საკონსტიტუციო დახმარებას.»

[illegible]

 სწრაფი რეაგირების მექანიზმის (QRM) ფარგლებში, ვენეციის კომისია ურუნველყოფს სამართლებრივ ექსპერტიზას კომისიის კომპეტენციაში შემავალ სფეროებში, მათ შორის: დემოკრატიული ინსტიტუტები და ფუნდამენტური უფლებები; არჩევნები, რეფერენდუმები და პოლიტიკური პარტიები, და საკონსტიტუციო და ჩვეულებრივი მართლმსაჯულება.

გენდერული თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის მხარდაჭერა

დისკრიმინაციასთან ბრძოლა და მოწყვლადი ჯგუფებისა და ქალების უფლებების დაცვა

დისკრიმინაციის აკრძალვა თანასწორობის პრინციპის განუყოფელი ნაწილია. იგი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებზე თანაბარ წვდომას და ამ უფლებებით თანაბრად სარგებლობას, ადამიანის ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, სოციალური ან ეკონომიკური სტატუსის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიუხედავად. PGG-ის წვლილი შეაქვს დისკრიმინაციასთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით რეალური პროგრესის განხორციელებაში და მოწყვლადი ჯგუფებისა და ქალების უფლებების დაცვაში.

[illegible]:

- ქალთა მიმართ ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის და პრევენციის გაუმჯობესება: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიკაცია და ხელმოწერა საქართველოს მიერ, კონვენციის ხელმოწერა სომხეთის, მოლდოვის რესპუბლიკისა და უკრაინის მიერ
- სომხეთის, საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკისა და უკრაინის მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კანონმდებლობის მიღება
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის გაუმჯობესება, სამართლის სპეციალისტების მომზადების, სამოსამართლო სწავლების დაწესებულებების შესაძლებლობების განვითარებისა და სამოსამართლო სწავლების ინსტრუმენტების ჰარმონიზების გზით.

[illegible]:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნის მიერთება სტამბოლის კონვენციასთან და კონვენციის დებულებების ეფექტური განხორციელება
- ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესება, მათ შორის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სფეროებში
- თანასწორობის ორგანოებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების შესაძლებლობების განმტკიცება დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელების წარმოების პროცესში, იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც განეკუთვნებიან მიწყვლად ჯგუფებს

ევროპის საბჭოს სტანდარტები და მონიტორინგი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO) არის ექსპერტთა დამოუკიდებელი ორგანო, რომლის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენს მხარეების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) იმპლემენტაციის მონიტორინგი.

რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) რეგულარულად ახდენს რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის, ანტი-სემიტიზმისა და შეუწყნარებლობის პრობლემების მონიტორინგს 47 წევრ სახელმწიფოში და გასცემს რეკომენდაციებს წევრ სახელმწიფოებზე.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი (FCNM) არის მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც აფასებს უმცირესობების დაცვას შესაბამის ქვეყნებში, მათი შეკრების, გამოხატვის, სინდისის, რელიგიის თავისუფლებასა და მედიაზე და საკუთარ ენაზე წვდომის უფლებას.

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ 2020 წლისთვის 20 შედეგის მიღწევას, რისი მიზანიც არის ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებსა და აღმოსავლეთ სამეზობლოს ექვს ქვეყანას (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) შორის ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება და ხელშესახები შედეგების უზრუნველყოფა რეგიონის მოქალაქეებისათვის.

EaP | Eastern Partnership

@partnershipgovernance

@CoeEapPCF

odgp_pgg@coe.int

http://partnership-governance2-eu.coe.int

PREMS 089419 – Photos: Council of Europe

KAT

ევროპის საბჭო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა წამყვან ორგანიზაციას ევროპის კონტინენტზე. ის აერთიანებს 47 წევრ სახელმწიფოს, რომელთა შორის 28 ევროკავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანას ხელმოწერილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობას უწევს წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის იმპლემენტაციას.

www.coe.int

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი ნოუ-ჰაუ, რესურსები და ბედი. ერთად, მათ ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და ამასთანავე, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი მზადაა, საკუთარი მიღწევები და ღირებულებები გაუზიაროს ქვეყნებსა და ადამიანებს მის საზღვრებს გარეთ.

www.europa.eu

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe